საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №494

2012 წლის 27 ნოემბერი

ქ. თბილისი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით (სსმ III, 03.08.2005წ., №91, მუხ.1035) დამტკიცებულ „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის“ (დანართი №1) მე-2 პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს „ჰ.ჰ.ჩ“-„ჰ.ჰ.ჰ.უ“ ქვეპუნქტები.
2. ამოღებულ იქნეს „ჰ.ჰ.ჰ.უ^{2}“ ქვეპუნქტი.
3. დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ.ჰ.ჰ.უ^{3}“ - „ჰ.ჰ.ჰ.უ^{29}“ ქვეპუნქტები:

„ჰ.ჰ.ჰ.უ^{3}) სს „საქართველოს რკინიგზის“ ღია ნავთობპროდუქტების გადასაგზავნი ზედნადები (გუ-27დს);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{4}) სს „საქართველოს რკინიგზის“ მუქი ნავთობპროდუქტების გადასაგზავნი ზედნადები (გუ-27დტ);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{5}) სს „საქართველოს რკინიგზის“ ცარიელი ვაგონების გადასაგზავნი ზედნადები (გუ-27სპ);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{6}) სს „საქართველოს რკინიგზის“ ტვირთის გადაზიდვის საგზაო უწყისი (გუ-29);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{7}) სს „საქართველოს რკინიგზის“ საგზაო უწყისი მარშრუტზე ან ვაგონთა ჯგუფზე (გუ-29ბ);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{8}) სს „საქართველოს რკინიგზის“ კომბინირებული ქვითარი (გუ-57);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{9}) სს „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო პარკის ვაგონების გარბენაზე საგზაო უწყისი (მგ№12-ვგ);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{10}) სს „საქართველოს რკინიგზის“ საბარგო ქვითარი (მგ№12-ბ);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{11}) სს „საქართველოს რკინიგზის“ ტვირთბარგის ქვითარი (მგ№12-ტბ);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{12}) სს „საქართველოს რკინიგზის“ კომერციული აქტი (კა);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{13}) სს „საქართველოს რკინიგზის“ კომბინირებული სამგზავრო დოკუმენტი (შიფრი 11);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{14}) სს „საქართველოს რკინიგზის“ საბავშვო კომბინირებული დოკუმენტი (შიფრი 12);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{15}) სს „საქართველოს რკინიგზის“ შეღავათიანი სამგზავრო 50% დოკუმენტი (შიფრი 21);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{16}) სს „საქართველოს რკინიგზის“ საერთო კომბინირებული სამგზავრო დოკუმენტი (შიფრი 301);

ჰ.ჰ.ჰ.უ^{17}) სს „საქართველოს რკინიგზის“ ავტომატიზებული სისტემის სამგზავრო დოკუმენტი;

ჰ.ჰ.ჰ.უ) სს „საქართველოს რკინიგზის“ საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტი;

ჰ.ჰ.ჰ.უ[19]) სს „საქართველოს რკინიგზის“ მოწმობა;

ჰ.ჰ.ჰ.უ[20]) სს „საქართველოს რკინიგზის“ ელექტრომატარებლის მუყაოს სამგზავრო დოკუმენტი;

ჰ.ჰ.ჰ.უ[21]) სს „საქართველოს რკინიგზის“ ელექტრომატარებლის ბლანკის სამგზავრო დოკუმენტი;

ჰ.ჰ.ჰ.უ[22]) სს „საქართველოს რკინიგზის“ საბავშვო რკინიგზის მგზავრობის საბუთი;

ჰ.ჰ.ჰ.უ[23]) სს „საქართველოს რკინიგზის“ ქვითარი (გუ-57ა);

ჰ.ჰ.ჰ.უ[24]) სს „საქართველოს რკინიგზის“ მივლინების მოწმობა (ფორმა №12);

ჰ.ჰ.ჰ.უ[25]) სს „საქართველოს რკინიგზის“ გადასაგზავნი უწყისი (გუ-33);

ჰ.ჰ.ჰ.უ[26]) სს „საქართველოს რკინიგზის“ მცირე სიჩქარის ზედდებული (სმგს);

ჰ.ჰ.ჰ.უ[27]) სს „საქართველოს რკინიგზის“ საშვი (გუ-43);

ჰ.ჰ.ჰ.უ[28]) სს „საქართველოს რკინიგზის“ სადგურის მომსახურებისა და ტვირთის მიღება-ჩაბარების სამახსოვრო (გუ-45);

ჰ.ჰ.ჰ.უ[29]) სს „საქართველოს რკინიგზის“ საერთო ფორმის აქტი (გუ-23);“.

4. ამოღებულ იქნეს „ჰ.ჰ.ჰ.ფ“ და „ჰ.ჰ.ჰ.ქ“ ქვეპუნქტები.

5. დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ.ჰ.ჰ.ჰ.ლ[1]“ ქვეპუნქტი:

„ჰ.ჰ.ჰ.ჰ.ლ[1]) „შპს ჩირაღდანი - XXI საუკუნის“ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარების (დატაცების) აქტი;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**